10/11/2025

MES 3 25 0001574211

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.10.2025
სხდომის დაწყების დრო: 16:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 17:45
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: ქეთევან გილაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - დებულება) 28[5]-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან გილაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - საბჭოს მდივანი;
3. **ერეკლე ასტახიშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
4. **ირმა შიოშვილი -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
5. **ანასტასია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ცენტრის დირექტორი;
6. **თეონა თიგიშვილი-**შპს "ჯეო სქაი სქულის" მასწავლებელი;

7. **თამარ ჭყონია** - მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე პროგრამის - ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის - საქართველოში 12Q (WB) ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კომპონენტის ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნანა კავლელაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:
ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საგანმანათლებლო პტოგრამების აკრედიტაციის **საბჭოს თავმჯდომარე;**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

1. **სოსო გოგილიძე** - პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში;
2. **არჩილ ჯანგირაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **თინათინ ღუდუშაური** - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
4. **გიორგი უშიკიშვილი** - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **ოთარ კაპანაძე** - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **მალხაზ ერქვანიძე** - "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე
შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება/თვითაცილება

- **არა**

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისა და სააპელაციო საბჭოს წევრების ჩართვა.

საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტება გააკეთა სააპელაციო საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პირველ რიგში სიტყვა ეძლევა სხდომაზე დამსწრე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც იქნება მოპასუხე. შემდეგ დაწესებულება წარმოადგენს მოსაზრებებს, რის საფუძველზეც საბჭოს წევრები დასვამდნენ კითხვებს და ბოლოს, მიიღება გადაწყვეტილება. საბჭოს თავჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება შესაძლებელია იყოს ორი სახის: საბჭო ან იზიარებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ან უკან აბრუნებს მას ხელახალი განხილვის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) თავჯდომარეს, რომ დაეფიქსირებინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, ისაუბრა საკითხის ირგვლივ, აღნიშნა, რომ 2025 წლის 17 ივნისს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განიხილეს შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ აკრედიტაციის საკითხი.
პროცესი წარიმართა განსაზღვრული რეგლამენტის შესაბამისად. კერძოდ, ერთი კვირით ადრე საბჭოს წარედგინა დოკუმენტაცია: თვითშეფასების ანგარიში თანდართული მასალებით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნა და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია დარგის ექსპერტების მოწვევა: ნანა ვალიშვილი - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილე და ლეილა მარუაშვილი - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. მათ წარმოადგინეს დასკვნები და მონაწილეობა მიიღეს პროგრამის აკრედიტაციის განხილვაშიც.
აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზეპირი მოსმენის შედეგების განხილვის შემდეგ რეკომენდაციები დაემატა 1.2 და 4.1 კომპონენტებში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 1.2 კომპონენტზე, სადაც დაემატა ხუთი რეკომენდაცია. აღნიშნული ცვლილების შედეგად, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“. ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ პირველი სტანდარტი მთლიანად შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. საბჭოს მუშაობის პრინციპის გათვალისწინებით, საბჭომ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის უარის თქვემის შესახებ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საბჭოს 12 წევრმა, ხოლო ერთი იყო წინააღმდეგი. შესაბამისად, რადგან საბჭო არის კოლეგიალური ორგანო და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, მიღებული იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცა.
საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილი, მიესალმა კოლეგებს და წარადგინა სოსო გოგილიძე. ასევე აღნიშნა, რომ სხდომას საგანმანათლებლო პროგრამის ყველა ხელმძღვანელიც ესწრებოდა.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, არჩილ ჯანგირაშვილს ჰქონდა რამდენიმე კითხვა საბჭოს თავჯდომარესთან და ითხოვა ნებართვა, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიუთითა, რომ თავდაპირველად უმჯობესი იქნებოდა საჩივართან დაკავშირებით წარმოედგინათ დამატებითი მოსაზრებები.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა თავდაპირველად ისაუბრა სააკრედიტაციო პროცესის მიმდინარეობაზე. მან განმარტა, რომ წინასააკრედიტაციო პროცესში და უშუალოდ აკრედიტაციის დროსაც არავითარ მოცემულობას არ ჰქონია ადგილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას ენებოდა მოლოდინი საგანმანათლებლო პროგრამის უარყოფითად შეფასებაზე. დაწესებულებამ არგუმენტირებული დასაბუთებაც წარმოადგინა რეკომენდაციებთან მიმართებით. მათი აზრით უცნაური იყო ის, რომ საბჭომ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით საჭიროდ ჩათვალა ორი დამატებითი ექსპერტის მოწვევა, მასაც სწორედ ეს საფუძველი აინტერესებდა. მისი აზრით უცნაური იყო, რომ საბჭოს სხდომის ჩანიშვნამდე ორი საათით ადრე გახდა დაწესებულებისთვის ცნობილი, ორი დამატებითი ექსპერტის დასკვნის შესახებ, სადაც არავითარი ფორმალური მხარე არ იყო დაცული. ხაზგასმით დააფიქსირა, რომ არც ერთ ექსპერტს (არც დამატებით ექსპერტებს) არ უთქვამს, რომ პროგრამა არ იმსახურებდა აკრედიტაციას. ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებასთან მიმართებით საბჭოს დასკვნა, რომელიც დაწესებულებას ჩაბარდა, იყო აბსოლუტურად გაუგებარი.

ასევე განიხილა საკითხები, რომელთაც აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გადაწყვეტილებაში. წარადგინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის შესაბამისი მონაკვეთი, სადაც განხორციელდა კორექტირება აკრედიტაციის სტანდარტების 1.1, 1.2, 1.3 და 1.5 კომპონენტებთან მიმართებით. ასევე აღნიშნა, რომ ზემოხსენებული კომპონენტების შეფასების ცვლილება საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღებისათვის, რადგან ექსპერტთა შეფსებით საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართების ჰქონდა სამი სრული და ორი მეტწილი შესაბამისობა. გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის დებულების 26^1-ე მუხლზე, რომელიც ეხება ოთხდონიან შეფასების სკალას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, პროგრამაში იდენტიფიცირებული იყო ისეთი ხარვეზები, რომლებიც ექსპერტთა შეფასების საფუძველზე არ იძლეოდა აკრედიტაციის მინიჭების შესაძლებლობას ერთ წელზე მეტი, მაგრამ ორ წელზე ნაკლები ვადით.

ასევე აღნიშნა, რომ დამატებითი ექსპერტის რამდენიმე რეკომენდაცია მართლაც დაემატა, თუმცა მათ შორის პროგრამის ჩავარდნაზე საუბარი არ ყოფილა. მისი აზრით, ადმინისტრაციული ორგანო ვერ ამტკიცებდა, რომ რომელიმე რეკომენდაცია 26^1-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას არ იძლეოდა. მისი შეფასებით, დადგა ისეთი შედეგი, როცა კარგი დასკვნა ძალიან ცუდ დასკვნად გადაიქცა — რაც პრაქტიკაში არასდროს მომხდარა. მან ასევე ისაუბრა ცვლილებებსა და რეკომენდაციებზე, რომლებიც შეეხებოდა 4.1 სტანდარტს, და წაიკითხა 5.2 და 5.3 კომპეტენციები. კერძოდ, 5.2 და 5.3 კომპეტენციებთან დაკავშირებით საბჭოს დამატებითი რეკომენდაციები არ გაუცია, თუმცა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ კომპონენტების შეფასების სკალის მიხედვით მონიშნული უნდა ყოფილიყო „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აქვე დასძინა, რომ მეხუთე სტანდარტთან მიმართებით დაწესებულებას სრული შესაბამისობა ჰქონდა და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაესაბუთებინა კონკრეტული რეკომენდაცია.

ასევე, ყურადღება გამახვილდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ვალდებულება გადაწყვეტილების დასაბუთების. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საბჭოს მიერ დოკუმენტში გადმოტანილი დასკვნები არსებითად არ აუარესებდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ შეფასებას. აქედან გამომდინარე, კოდექსის 53-ე მუხლი პირდაპირ ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული.

დაწესებულებამ მოიშველია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომელიც განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს განმარტება უნდა იყოს შინაარსობრივი და სამართლებრივად დასაბუთებული. აქ საუბარია ფორმალურ კანონზომიერებაზე, რაზეც უზენაესმა სასამართლომ გააკეთა განმარტება. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულებამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა, რადგან ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ არგუმენტს. სწორედ ამ საფუძველზე გადაწყდა, რომ მიემართათ სააპელაციო საბჭოსთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც არჩილ ჯანგირაშვილმა გაამახვილა ყურადღება, იყო ის, რომ დაწესებულებამ ერთსა და იმავე დროს გააკეთა განაცხადი აღნიშნული პროგრამისა და "ქორეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციაზე. "ქორეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია სრულიად სხვა საბჭოზე, სადაც შეფასება უფრო რთული იყო. შემდეგ, ახალ საბჭოზე, როდესაც განსახულველი პროგრამა უფრო მაღალი შეფასებით წარდგა, მან ვერ მიიღო აკრედიტაცია. არჩილ ჯანგირაშვილმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ როგორც სამართლებრივი ნორმებით, ისე პრაქტიკის გათვალისწინებით, საბჭოს აქვს ვალდებულება დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ რამ გამოიწვია შეფასების გაუარესება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს არის სრულიად უსამართლო გადაწყვეტილება და უსამართლობის ხარისხი იმდენად დიდია, რომ მათ გადაწყვიტეს მიმართონ შემდგომ

ნაბიჯებს, კერძოდ - სააპელაციო საბჭოს. დაწესებულება ენდობა სააპელაციო საბჭოს, რომ სათანადოდ შეისწავლოს საკითხი და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.
დასასრულს, არჩილ ჯანგირაშვილმა კვლავ აღნიშნა, რომ მიღებული აქტი არ იყო დასაბუთებული და გაუგებარია, რაზე დაყრდნობით იმოქმედა საბჭომ.
პროექტორმა სასწავლო-სამეცნიერო დარგში, სოსო გოგილიძემ, ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე და დასვა შეკითხვები. პირველი შეკითხვა შეეხებოდა ბატონ ლევან შავაძის განცხადებას, რომ საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ორი ახალი ექსპერტის მოწვევა. სოსო გოგილიძემ აღნიშნა, რომ სიტყვა „მიზანშეწონილი“ მისთვის მხოლოდ ლოზუნგია და ბატონ ლევანს არ განუმარტავს, რა იყო დამატებითი ექსპერტების მოწვევის საფუძველი. მან სთხოვა განმარტება, კონკრეტულად რა მოიაზრებოდა „მიზანშეწონილობაში“ მოცემულ შემთხვევაში. შემდეგ მან გააგრძელა საუბარი იმაზე, რომ ორი მოწვეული ექსპერტის დასკვნები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და გაუგებარია, რატომ მიანიჭა საბჭომ უპირატესობა მხოლოდ ერთი ექსპერტის დასკვნას, რომელიც არ ითვლებოდა დარგის ექსპერტად ხალხური ხელოვნების მიმართულებით. დასასრულს, სოსო გოგილიძემ მოითხოვა ახსნა ბატონი ლევან შავაძისგან, კონკრეტულად რომელი რეკომენდაცია მოითხოვდა ერთ წელზე მეტ დროს გამოსასწორებლად.
გიორგი უშიკიშვილმა განაგრძო საუბარი და აღნიშნა, რომ თავდაპირველად წარმოდგენილი ექსპერტების კვალიფიკაციაში ეჭვი არ შეპარვიათ. თუმცა, დამატებით მოწვეული ორი ექსპერტიდან ნანა ვალიშვილი, რომელიც ფოლკლორისტია, წარმოადგინა შესანიშნავი დასკვნა, ხოლო მეორე ექსპერტი, ლეილა მარუაშვილი - დარგის სპეციალისტი არ იყო. შესაბამისად, მისი კითხვები და დასკვნები არაპროფესიონალურად მიიჩნია. მაგალითად, ერთ-ერთ დასკვნაში აღნიშნული იყო: „მსგავსად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომღერალმა დირიჟორობა უნდა იცოდეს“. მან ხაზი გაუსვა, რომ გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ საბჭო დაეყრდნო მხოლოდ იმ ექსპერტის უარყოფით დასკვნას, რომელიც დარგის სპეციალისტი არ იყო. მისი თქმით, ამ სფეროში არიან ადამიანები, რომლებსაც უდიდესი გამოცდილება აქვთ და ქმნიან ლიტერატურას. მაგალითად, გალობის მიმართულებით ერთადერთი გამოცემული ლიტერატურის ავტორი არის პროგრამის ხელმძღვანელი. გიორგი უშიკიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აინტერესებს, რა იყო ქალბატონი მარუაშვილის მოწვევის მიზანი, როდესაც ის დარგის სპეციალისტი არ იყო, და რატომ მიენიჭა მისი დასკვნას ასეთი მნიშვნელობა, მაშინ როცა ექვსი პროფესიონალი ექსპერტის დასკვნა იყო დადებითი.
პროგრამის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მთავარი არგუმენტი, რასაც დაეყრდნო აკრედიტაციის საბჭოს უარი, იყო ბოლო დღეს მოწვეული ექსპერტის - ქალბატონი ლეილა მარუაშვილის - რეკომენდაციები. მისი თქმით, ლეილა მარუაშვილი არ არის დარგის სპეციალისტი, მიუხედავად ამისა, გასცა პროფესიული რჩევები, რომლებიც კრიტიკას ვერ უძლებს. გარდა ამისა, რეკომენდაციების ნაწილი უკვე მოცემული იყო დაწესებულების მიერ მომზადებულ დოკუმენტებში. ამიტომ გაუგებარია საბჭოს უარი, როდესაც ექსპერტი არ ფლობს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას.
არჩილ ჯანგირაშვილმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს ლოგიკური ახსნა. მისი თქმით, შესაძლოა დაწესებულებას მიეღო საბჭოს შემდგომ დადმდგარი მოცემულობა, თუმცა რადგან შეფასება გაკეთდა არადარგის სპეციალისტის მიერ და რეკომენდაციები არ მიუთითებდა პროგრამის აკრედიტაციის უარყოფის საფუძველზე, ეს გადაწყვეტილება გაუგებარია. ექსპერტის დასკვნაში გამოყენებული იყო ისეთი ტერმინები, როგორიცაა „უკეთ აისახოს“, „უკეთ გამოჩნდეს“, რაც არ წარმოადგენს კრიტიკულ ხარვეზს. ამ ფონზე გაუგებარია, რატომ მიიღო საბჭომ ყველაზე მკაცრი გადაწყვეტილება - სრული შესაბამისობიდან ჩამოიტანა შეფასება ნაწილობრივ შესაბამისობაზე და საბოლოოდ მიიჩნია, რომ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არსებობს.
არჩილ ჯანგირაშვილმა ორი საკითხი გამოკვეთა: ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება დასაბუთების შესახებ და კონკრეტული რეკომენდაციის განმარტება, რომლის გამოსწორებას ერთ წელზე მეტი სჭირდება.

მან ასევე 5.1 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან - *„რეკომენდებულია პირდაპირი შეფასების სისტემის სრულად დანერგვა“*- დაკავშირებით გაამახვილა ყურადღება. ექსპერტმა მიუთითა, რომ უნივერსიტეტმა უფრო სწრაფად უნდა დაამკვიდროს ონლაინ პლატფორმა პირდაპირი შეფასებისთვის, მაშინ როცა დაწესებულება უკვე ახორციელებს დიგიტალიზებულ პროცესს. მისი თქმით, გაუგებარია, როგორ შეიძლება მსგავსი რეკომენდაცია გახდეს აკრედიტაციის უარყოფის საფუძველი.
სოსო გოგილიძემ დაამატა, რომ დაწესებულებას უკვე აქვს პირდაპირი შეფასების მექანიზმები და შემოაქვს ინოვაციური მიდგომები, რაც ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს. მისი აზრით, ეს ფაქტი არ უნდა გამხდარიყო საბჭოს მიერ შეფასების შემცირების მიზეზი. მან მოითხოვა ლევან შავაძისგან განმარტება, კონკრეტულად რომელი რეკომენდაცია იყო ისეთი, რომლის გამოსწორებას ერთ წელზე მეტი სჭირდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შინაარსი ხშირად ავტომატურად ასაბუთებს გადაწყვეტილებას და შესაძლოა დამატებითი დასაბუთება საჭირო არ იყოს. ასევე ხაზი გაუსვა, რომ საბჭოს უფლება აქვს გადახედოს დოკუმენტებს და შეისწავლოს საკითხები, რომლებიც ექსპერტების დასკვნებთან არ არის შესაბამისობაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, უპასუხა, რომ საუბარია იმავე რეკომენდაციებზე, რაც დასკვნაში იყო და მათი განმეორება არ არის საკმარისი დასაბუთებისთვის. მისი თქმით, საბჭოს ვალდებულებაა, უფრო დეტალურად ახსნას გადაწყვეტილების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა დაწესებულებას დააზუსტონ ის საკითხი, რომ დამატებითი ექსპერტებიდან ერთ-ერთს აქვს განსხვავებული მოსაზრება და მისი კვალიფიკაცია შეუსაბამოა პროგრამის შინაარსთან.
დაწესებულებამ დაადასტურა, რომ 7 რეკომენდაციიდან 5-ს არ ეთანხმება, ხოლო 2 ფაქტობრივი შეცდომაა, რომელიც აღნიშნულმა ექსპერტმა რეკომენდაციის სახით ჩამოაყალიბა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ერთ რეკომენდაციაში მითითებულია, თითქოს პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი.

არჩილ ჯანგირაშვილმა უპასუხა, რომ ეს ინფორმაცია მცდარია - პროგრამის ხელმძღვანელები, გიორგი უშიკიშვილი და მალხაზ ერქვანიძე, არიან პროფესორები და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები.
მალხაზ ერქვანიძემ დაამატა, რომ არის ეთნომუსიკოლოგი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი და ქართული გალობის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. მან ჩამოაყალიბა ანჩისხატის ტაძრის გუნდი, რომელიც მისი ხელმძღვანელობით აღადგენდა ქართულ საეკლესიო გალობას და ხალხურ ფოლკლორს. ასევე აღნიშნა, რომ 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროგრამას გიორგი მთაწმინდელის უნივერსიტეტში და საქართველოს უნივერსიტეტში შექმნილი პროგრამა ეფუძნება სრულიად ახალ მეთოდს. მისი აზრით, გიორგი უშიკიშვილის კომპეტენციის დაწუნება უსაფუძვლოა და ეს გადაწყვეტილება მიზანმიმართული ჩაგდების შთაბეჭდილებას ტოვებს.
დაწესებულებამ დააზუსტა, რომ დამატებითი ექსპერტის დასკვნაში ორი ფაქტობრივი უზუსტობაა, დანარჩენ პუნქტებში კი შინაარსობრივი ხარვეზები, რადგან ექსპერტი კლასიკური მუსიკის მიმართულებიდან მოდიოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ შეკითხვები.

შეკითხვა დასვა ქეთევან გილაშვილმა 1.3 კომპონენტთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია, დაწესებულებამ წარმოადგინა სამიზნე ნიშნულების რუკა, თუმცა, საბჭოს დოკუმენტში გაწერილია, რომ სამიზნე ნიშნულების რუკა არ არის მოწოდებული. ამიტომ საკითხთან დაკავშრებული რეკომენდაცია უცვლელი დარჩა. ამ რეკომენდაციის შედეგად, დაწესებულებას აქვს „მეტწილად შესაბამისობა მოთხოვნებთან“ მიღებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა გაუგებრობა მოხდა და წარადგინა თუ არა დაწესებულებამ ნამდვილად სამიზნე ნიშნულების რუკა.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულებას აქვს ასეთი პრაქტიკა, რომ ორჯერ აგზავნის დოკუმენტებს, ზოგჯერ შეიძლება სამჯერაც: ერთხელ განაცხადის პერიოდში (პროგრამა, სილაბუსები და თანდართული დოკუმენტები), მეორედ — თუ ხდება რაიმეს ჩასწორება და მესამე არის, როდესაც ადგილზე მოდიან ექსპერტები და ადგილზე ხდება დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნა. მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ყველა დამატებითი გამოთხოვილი დოკუმენტი და მათ შორის იყო სამიზნე ნიშნულები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან გილაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული არ იყო სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალში.
არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო განმარტება იმისა, თუ თავდაპირველადვე განაცხადის დროს რატომ არ იყო გაგზავნილი სამიზნე ნიშნულების რუკა.

შემდეგი კითხვა დასვა საბჭოს წევრმა ირმა შიოშვილმა. აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში არის ასეთი ჩანაწერი, სადაც საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა, დასვა კითხვა ექსპერტებთან. კერძოდ, ექსპერტების დასკვნაში არის შემდეგი ჩანაწერი: „პროგრამის შინაარსი, კრედიტების მოცულობა და სირთულე არ შეესაბამება საფეხურს და მიზნებს“.
ქეთევან აფთარაშვილის ამ უკანასკნელ კითხვაზე, თუ რას გულისხმობდნენ, როდესაც ამ მიგნებას აკეთებდნენ დასკვნაში, ექსპერტის პასუხი იყო, რომ არ ახსოვს, თუ საიდან მოხვდა ეს ჩანაწერი დასკვნაში და თუ რამ განაპირობა ამ ჩანაწერის არსებობა. ოქმის შესაბამისად, ექსპერტის მოსაზრებით, საერთო ხედვა პროგრამის შესახებ დადებითია და ზემოაღნიშნული დასკვნის შინაარსი ექსპერტების საერთო ხედვას პროგრამის მიმართ არ შეესაბამება.
არჩილ ჯანგირაშვილმა პირველ რიგში დაიწყო იმით, რომ ეს ჩანაწერი არის აღწერაში, იმ ვარაუდის მიხედვით, რასაც ექსპერტები გამოთქვამდნენ, რომ შეიძლება საათობრივი განაწილებით და საგნების ერთობლიობით ხედავდნენ საფრთხეს, რომ დაწესებულება მიზანზე ვერ გავიდოდა. მაგრამ იქვეა ჩანაწერი, რომ ადგილზე ვიზიტის დროს და შესაბამისი კომუნიკაციის, დოკუმენტების შესწავლით ამბობენ, რომ ეს ნაწილი აღმოიფხვრა. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ექსპერტებს აერიათ თუ ხარვეზი ჰქონდათ, აღნიშნა, რომ ამის გამო ინსტიტუცია არ უნდა ისჯებოდეს. ვარაუდიც გამოთქვა, რომ შეიძლება თავიდან ეს ჩანაწერი უცხოელმა ექსპერტმა გააკეთა, მაგრამ შემდეგ გავიდა და აღარ დაესწრო შესაბამის საბჭოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ ეს ჩანაწერი გაკეთებულია სამი კურსის შესახებ, სადაც საუბარია თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ურთიერთმიმართებაზე. ამაზე შეხვედრის დროსაც იყო საუბარი და წერილობითაც გაიგზავნა პასუხი. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას კარგად აქვს დაბალანსებული თეორიული და პრაქტიკული ნაწილის მიწოდება. შემდეგ რა კომენტარიც გაკეთდა, არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი და გავრცელდა მთელ კურსებზე.
არჩილ ჯანგირაშვილი დაეთანხმა ირმა შიოშვილს და აღნიშნა, ექსპერტებს შესაბამისი კომენტარი რომ გაეკეთებინათ, აღნიშნული გაუგებრობა არ მოხდებოდა. თუმცა, იმის გამო, რომ ექსპერტმა ზეპირი მოსმენისას ბუნდოვანი პასუხი გასცა კითხვაზე, ამ მიზეზით დაწესებულება არ უნდა ისჯებოდეს.

ირმა შიოშვილმა დაამატა, რომ როდესაც ნარატივის ტექსტში ასეთი მძიმე ფრაზებია, აღარ უკვირს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სხვა დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევის შესახებ.

არჩილ ჯანგირაშვილი აღნიშნულს არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, რადგან ეს იყო კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზები. ასევე აღნიშნა, რომ დამატებითი ექსპერტების მოწვევის პრაქტიკა სხვა წარმოებებში ადრეც ჰქონიათ, მაგრამ სხვაგვარად, იცოდა მათი კვალიფიკაცია, ინფორმაცია დროულად იყო მიწოდებული, აცილების დაყენების შესაძლებლობაც იყო და სხვა. ამჯერად კი ორ საათით ადრე გაიგო, რომ ორი დამატებითი ექსპერტის დოკუმენტს უნდა გაცნობოდა. ისიც მნიშვნელოვნად შენიშნა, რომ ორი ექსპერტიდან დარგის სპეციალისტმა რადგან დაადასტურა, რომ საშიშროება არ იყო, საბჭომ ამას რატომ არ მიაქცია ყურადღება. ლეილა მარუაშვილი არსად არ ახსენებდა იმ ფრაზას, რაც ახლაა სადავო, არამედ დაწესებულება მას მხოლოდ ედავება იმას, რომ 7 რეკომენდაციიდან 2 ფაქტობრივი შეცდომაა და ამასთან ერთად, მიზანში მეორეულ ფაქტორს ამბობს და კლასიკური მუსიკის ფაქტორიდან ხსნის ამას.
არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ინსტიტუციისთვის ძალიან გაუგებარია, რომ სააპელაციო საბჭოს წევრები სცემენ აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის, ლევან შავაძის ნაცვლად პასუხებს. დაწესებულებას აქვს კონკრეტული კითხვები თავმჯდომარესთან და სწორედ მან უნდა დაადასტუროს, რა და როგორ გადაწყდა. ამიტომ, მოითხოვა, რომ თავად გას ცეს კითხვებს პასუხები.
ლევან შავაძემ გააკეთა კომენტარი, თუ რატომ გაჩნდა ექსპერტების მოწვევის საჭიროება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^3-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს აქვს უფლებამოსილება, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს დამატებით ექსპერტები, არაუმეტეს ორი პირი. შესაბამისად, ეს იყო საფუძველი, რატომაც მოიწვიეს ექსპერტები და მისთვის გაუგებარია, თუ რატომ გაჩნდა კითხვა აღნიშნულთან დაკავშირებით. რაც შეეხება რეკომენდაციებს, აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

არჩილ ჯანგირაშვილმა უპასუხა, რომ საბჭოს ბევრი მიმართულებით არ ჰყავს ხოლმე ექსპერტები, მაგრამ მაინც განიხილავს საკითხს. ამიტომ არ იყო საკმარისი ფორმალური განმარტება. რაც შეეხება რეკომენდაციებს, აღნიშნა, რომ როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, ვალდებულება წარმოეშობოდათ, გაეკეთებინათ განმარტება. სიტყვა „კომპლექსურობა“ გამოყენებულია 5.2-ში და 5.3-ში სრულიად კანონის დარღვევით, ვინაიდან რეკომენდაცია არ წერია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:43

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ დამატებითი გარემობების შესწავლის მიზნით, საჭიროა საკითხის გადადება მომდევნო სხდომისათვის.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა გადაიდო აკრედიტაციის დებულების 28^5 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს, რომ სხდომის თავმჯდომარეს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, უზრუნველყოფს ზეპირ მოსმენაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მოწვეული ექსპერტების დასწრება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 27 ოქტომბრის 17:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი